ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა

ოქმი N 04

16. 03. 2026 წ.

მ/წ 16 მარტს 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის სხდომა, სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე დათო ფურელიანი, კომისიის წევრები: ირაკლი ქურასბედიანი, გამზა ლიპარტელიანი, თემურ ლიპარტელიანი; მოწვეული სტუმრები: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარეხი ონიანი, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი, სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის თავმჯდომარემ დათო ფურელიანმა სხდომას წარმოუდგინა დღის წესრიგი შმდეგი საკითხებით:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის თაობაზე.
2. სხვადასხვა.

წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ბაჩუკი გაზდელიანის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების შესახებ:

1. ავტომანქანა „ NISSAN PATHFINDER" N „BB 099 UU". საინდეფიკაციო N JJN8DR09VX3W824576.

ავტომობილი ექსპლოატაციაში ნამყოფი- 2003 წელს არის დამზადებული, რომლის საბაზრო საორენტაციო ღირებულება შეადგენს 5900 ლარს.

2. ავტომანქანა „FORD „ სახ. N" PQ 118 QQ" საინდეფიკაციო N IFTPW12V87KA71280.

ავტომანქანა ექსპლუატაციაში ნამყოფი 2006 დამზადებული, საბაზრო ღირებულება საორენტაციოდ შეადგენს 16500 ლარს.

ბ. გაზდელიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მანქანები არის მწობრიდან გამოსული, განსაკუთრებით NISSAN PATHFINDER , რომლის შეკეთების შემთხვევაში მუნიციპალიტეტს

მაინც ექნება დიდი ხარჯი, მეორე მანქანა FORD-ი შდარებით უფრო უკეთეს მდგომარეობაშია, მატორს უნდა შეკეთება და გამოიყენებს მუნიციპალიტეტი.

ბ. გაზდელიანმა ნუსხასთან ერთად, ორივე ავტომობილზე წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა. (დანართი: ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად ოქმს თან ერთვის)

კომისიის თავმჯდომარემ დათო ფურელიანმა აღნიშნა, რომ მომავალში როდესაც მუნიციპალიტეტი მანქანების შეძენას გადაწყვეტს უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენ მაღალმთიანი მუნიციპალიტეტი ვართ, აქ რთული გეოგრაფიული და მეტეროლოგიური პირობებია, ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებელია მაღალი გამავლობის მანქანების შეძენა, რომ შემდგომში ყველანაირ პირობებში გამოსადეკი იყოს რაიონისთვის. მან ასევე აღნიშნა, რატომ უნდა იყოს მოუვლელი, მოუწესრიგებელი და შესაკეთებელი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მანქანები, ხომ არ ჯობია მოვახდინოთ კადრების გადამზადება, გვეყოლება კვალიფიციური სპეციალისტი-მძღოლები და ავტომანქანებს შესაბამისად მოუვლიან, მიეცეთ მაღალი ხელფასები და კადრებიც გვეყოლება. დ. ფურელიანმა ასევე შენიშნა - აღრიცხული თუა რამდენი მანქანა ემსახურება მუნიციპალიტეტს, რამდენ საწვავს მოიხმარს თითოეული მანქანა, სად იხარჯება და როგორ კონტროლდება საწვავის ხარჯი; ხომ არ აჯობებს სასპორტო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც შეჯიბრებებზე დადიან გადაეცეთ ერთი ყვითელი მარშუტკა, მოგვარდება ბავშვების მგზავრობის პრობლემა. ბაჩუკი გაზდელიანმა განმარტა, რომ, ყვითელი მარშუტკები შესაკეთებელია და გასამართია, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ყველა ავტომობილს არიან დიდი ხნის გამონაყენებელი, მომველებული, დედაქალაქიდან რეგიონისთვის გადმოცემულ ნაჩუქარი, ფაქტიურად მწყობრიდან გამოსული, რომლის შეკეთებას სჭირდება დიდი ხარჯი. საკითხთან დაკავშირებით იყო შეკითხვები, მომხსენებელმა ბ. გაზდელიანმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

გადაწყვიტეს: საკითხი ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის თაობაზე გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის თავმჯდომარე: /დ. ფურელიანი/